საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზეღდულეთი

ზეღდულეთი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ბერშოულის (მეჯუდის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ახალშენი, ბერშუეთი, ზემო სობისი, კირბალი, ქვემო ახალსოფელი, ქვემო სობისი). ზ. დ. 700 მ, გორიდან 15 კმ. 1,1 ათ. მცხ. (2002). სოფლის ჩრდ-ით დგას განვითარებული ფეოდ. ხანის რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. სოფლის შუაში, სასაფლაოზე, ასევე ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესიაა. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ცოკოლი ნატეხი და რიყის ქვითაა ამოყვანილი, კედლები – კვადრატული აგურისა და ნატეხი ქვიშაქვის მონაცვლეობით. ორივე ეკლესია გვიანდ. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება და ორივე ძლიერ დაზიანებულია.